პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 168 (18710) შაბათი, 23 ივლისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

535 ათასი ტონა ჩაისათვის!

არ შევანელოთ გეგმის!

რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ცნობით, ხეზონის დაწყებიდან 22 ივლისისათვის მოკრეფილია 280.864,2 ტონა ნარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც წარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 89.852,2 ტონით აღემატება.

მეჩაიეობის რაიონებს პაპანაქება სიცხეების შემდეგ თავს დაატყდა კოკისპირული წვიმები, რასაც წყალდიდობა მოჰყვა. დაიტბორა ეროწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურები, წყალმა დაზიანა ხიდ-ბოგირები, შენობა-ნაგებობანი. ამინდის ჭირვეულობის მიუხედავად, მეჩაიეებსა და მექანიზატორებს პლანტაციებში შრომა არ შეუნელებიათ, პირიქით, გააძლიერეს მუშაობის ტემპი და წარმატებასაც აღწევენ. წლეულს მარტო ერთ დღეს, 21 ივლისს რესპუბლიკაში მოიკრიფა 4.983,2 ტონა ნედლეული, შარშან ამავე რიცხვში კი 3.126 ტონა.

მახარაძის რაიონში მოკრეფილია 46.599 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ზუგდიდში — 39.596 ტონა, გალში — 27.463, ქობულეთში — 24.299, ოჩამჩირეში — 22.653, წალენჯიხაში — 18.329, ლანჩხუთში — 14.941, ჩხოროწყუში — 14.012, გეგეჭკორში — 12.355, ხელვაჩაურში — 12.286, ჩოხატაურში — 8.421, ცხაკაიაში — 6.279, ხობში — 5.808, ტყიბულის ზონაში — 5.759, წყალტუბოს ზონაში — 5.722, წულუკიძეში — 4.903, გუდაუთაში — 4.229, სამტრედიაში — 1.625,9, გულრიფშში — 1.599, თერჯოლაში — 937,7, ჭიათურის ზონაში 917, ჭიდაში — 817,8, ვანში — 553, სოხუმში — 457, აბაშაში — 302,8 ტონა.

ვინ მოიპოვებს გაჩქარებულად დროშას?

გაზეთ „კომუნისტის“ ინიციატივა და საქართველოს სსრ ხასოფლო-ხამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დაწესებული გარდამავალი წითელი დროშისა და ფასიანი საჩუქრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ის ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ძალინა ბიგვავა ხელმძღვანელობს. ბრიგადას მაის-ივნისის გეგმა-დავალებით უნდა მოეკრიფა 140 ტონა ჩაის ფოთოლი. მოკრიფა და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩაბარა 186 ტონა, რაც წარშანდელ შესაბამის პერიოდში მოკრეფილს 47 ტონით აღემატება. დამწყებული ნედლეულის 92 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიიღეს დადგენილება „სასაზღვრო მეურნეობის სხვა დარგებთან სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის შესახებ“.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყლთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის სახსოფლ-ტექნიკას, რესპუბლიკურ (ასსრ), სამხარეო, საოლქო და რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს განახორციელონ აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგებთან სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი, ამასთან უზრუნველყონ, რომ:

აამაღლონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მომსახურე საწარმოთა და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის, სამეურნეოთა შესრულებისა და მომსახურების გაწევის ხარისხისა და ვადებისათვის;

გააძლიერონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მომსახურე საწარმოთა და ორგანიზაციათა დამამზადებელ საწარმოთა ეფექტიანობა, ამაღლონ ხელმძღვანელობა, ეფექტიანად გამოიყენონ ფასდებანი, ეფექტიანად ანაზღაურონ ფასები, ეფექტიანად ანაზღაურონ ფულადი ჯილდო

მეგობრულ ვითარებაში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 20 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაუმართეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ჰ. ა. ალიევი, მ. ს. გორბაჩოვი, ა. ა. გრომიკო, გ. ვ. რომანოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, ნ. ი. რიჟკოვი, კ. ვ. რუსაკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ვ. ანდროპოვმა სადილზე წარმოთქვა სიტყვა.

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო კადარ!

ძვირფასო უნგრელო სტუმრებო!

ამხანაგებო!

დიდ კმაყოფილებას მანიჭებს ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობის სახელით გულითადად, ძმურად მივესალმო მოსკოვში უნგრეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას. თქვენი **სახით** მივესალმებით ჩვენს თანამებრძოლებს საერთო საქმეში, მოკავშირეებს, თანამოაზრეებს.

განსაკუთრებით გვახარებს დელეგაციის მეთაურად გიხილოთ თქვენ, ამხანაგო კადარ, სოციალისტური უნგრეთის ნაცადი ხელმძღვანელი, საბჭოთა ხალხის **კეთილი** მეგობარი.

ჩვენს პარტიებსა და სახელმწიფოებს დიდი ხნის მტკიცე ინტერნაციონალური სოლიდარობა აკავშირებთ. ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ — საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობა წლითიწლობით სულ უფრო ტეკადი და მრავალმხრივი ხდება. არ არის ისეთი სფერო, სადაც არ იყოს დადებითი შედეგები, არ ისახებოდეს ჩვენი თანამშრომლობის განვითარების ახალი, კიდევ უფრო ფართო ჰორიზონტები.

სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკური კალენდარი აღსავსეა ურთიერთშეხვედრებით — მრავალმხრივითაც და ორმხრივითაც. ეს დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის ეფექტურობის შემდგომი ამაღლების, გაცილებით უფრო მაღალ, მე ვიტყოდი, თვისებრივად ახალ დონეზე მისი აყვანის ობიექტური საჭიროებით.

სწორედ ეს საკითხებია საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ახლანდელი მოლაპარაკების ყურადღების ცენტრშიც. სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. დიდ კმაყოფილებას განაცდიდით იმის გამო, რომ აზრთა გაზიარებამ დაამტკიცა ჩვენი შეხედულებებისა და განზრახვების ერთიანობა.

განამტკიცებენ რა თანამშრომლობას, შეკავშირებას, სოციალისტური ქვეყნები ამით მრავალგზის ამტკიცებენ მსოფლიო მოვლენების მიმდინარეობაზე თავიანთი კეთილნაყოფიერი ზეგავლენის ძალას, ეს კი ყველასათვის სასარგებლოა.

სწორედ სოციალისტური ქვეყნები არიან მშვიდობის მთავარი დასაყრდენი. ისინი გვევლინებიან ყველა სახელმწიფოს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის, თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის, ხალხთა უშიშროების განმტკიცების ლენინური იდეების მატარებლებად, იღვწიან ბირთვული მოსპობის გაზრდილი საფრთხისაგან დედამიწაზე თვით ცივილიზაციის შენარჩუნებისათვის.

ამას ისახავს მიზნად უკანასკნელი დროის მათი მასშტაბური, შორსგამიზნული წინადადებანი და ინიციატივები, მათ შორის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის პრაღის თათბირზე და მვიდა სოციალისტური ქვეყნის ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა ამასწინანდელ მოსკოვის შეხვედრაზე წამოყენებული წინადადებანი და ინიციატივები.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირმა ცალმხრივი წესით იკისრა ვალდებულება პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი, ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებმა კი ნატოს მონაწილეებს შესთავაზეს დადონ შეთანხმება იმის შესახებ, რომ არ გამოიყენონ არც ბირთვული, არც ჩვეულებრივი იარაღი.

სოციალისტურ ქვეყნებიდან მომდინარეობს მოწოდება გაიყინოს ბირთვული შეიარაღება და ამით შეიქმნას ხელშემწყობი პირობები უფრო რადიკალური ღონისძიებებისათვის, რომლებსაც მოჰყვება მათი შემცირება, საბოლოო ანგარიშით კი სრული ლიკვიდაცია.

თითოეული კაცისათვის, თუ იგი მსოფლიო ცხოვრების მოვლენებს მიუკერძოებლად უყურებს, ცხადია: სოციალისტური ქვეყნების მიერ წამოყენებული ღონისძიებათა კომპლექსი თუ განხორციელდება, იგი თავიდან აგეკილებს ბირთვულ საფრთხეს, დასახავს საერთაშორისო ურთიერთობის საგრძნობლად გაჯანსაღების შესაძლებლობას, აღმოფხვრის მათ შორის საშიშ უნდობლობასა და ეჭვიანობას.

და თუ მსოფლიოში დაძაბულობა კვლავ მწვავდება, ამის მიზეზი ერთია — იმპერიალისტური წრეების, უწინარესად ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი ნატოელი მოკავშირეების პოლიტიკა და მოქმედება. ვაშინგტონში არ სურთ პატიოსანი და სამართლიანი მორიგება, არ მაღავენ, რომ განუზარახავთ დაარღვიონ სამხედრო წონასწორობა, წინ გაიწიოან სამხედრო დარგში და უზრუნველყონ თავიანთთვის გაბატონებული მდგომარეობა მსოფლიოში. ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ ადამიანები, ჩაუნერგონ აზრი, თითქოს ამერიკის სტრატეგიული შეიარაღების გაძლიერებას, „პერშინგებისა“ და ფრთოსანი რაკეტების განლაგებას დასავლეთ ევროპაში მოჰყვება ძვრა ახლანდელ მოლაპარაკებაზე. ამ მტკიცებებს საერთო არა აქვს რა სიმართლესთან.

მოლაპარაკებაზე ძვრას გამოიწვევს არა რაკეტების რაოდენობის გადიდება, არამედ მისწრაფება გამონახონ ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი რეალობების გათვალისწინების, თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების საფუძველზე ბირთვული კონფრონტაციის არსებითი შემცირების შესახებ. სწორედ ასეთი მისწრაფებით არის გამსჭვალული საბჭოთა პოზიცია ევროპაში სტრატეგიული იარაღისა და ბირთვული შეიარაღების შესახებ მოლაპარაკებაზე.

ევროპაში ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგება უთუოდ გამოიწვევს სამხედრო და პოლიტიკური ხასიათის ისეთ შედეგებს, რომლებიც არსებითად გაართულებს მთლიანად ვითარებას მსოფლიოში.

შეიძლება თუ არა მოვლენათა ასეთი განვითარების თავიდან აცილება?

სოციალისტურ ქვეყნებს მიაჩნიათ: დიახ, შეიძლება.

აღსანიშნავია, მაგალითად, რომ მაღრიდის შეხვედრაზე მწვავე და ხანგრძლივი პოლიტიკური ბრძოლის დროს გარკვეული ძალების კურსის მიუხედავად მეტმა წილმა სახელმწიფოებმა მაინც მოახდინეს არჩევანი ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების გამონახვის სასარგებლოდ. ეს ჯანსაღი, იმედის მომცემი ნიშანია. საქმე უნდა მივიყვანოთ ამ შეხვედრის წარმატებით დამთავრებამდე, უზრუნველვყოთ პოზიტიური პროცესების განგრძობა ზუსტად ჰელსინკის საბოლოო აქტის ფორმისა და შინაარსის შესაბამისად.

ევროპის ქვეყნების ხალხების, და არა მარტო მათი, საარსებოდ მნიშვნელოვანი ინტერესები გვაკარნახებს, რომ საჭიროა თავიდან ავიცილოთ გამალებული ბირთვული შეიარაღება კონტინენტზე, შევამცროთ აქ უკვე არსებული საშუალო სიმშრის ბირთვული იარაღის რაოდენობა. თუ ამერიკის შეერთებული შტატები და ნატო შეძლებენ ბოლოს და ბოლოს საღად შეაფასონ სიტუაცია, ხელს აიღებენ მოლაპარაკებისადმი თავიანთ ცალმხრივ და უპერსპექტივო მიდგომაზე, რომელსაც საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის ცალმხრივი განიარაღების მიღწევა, მოლაპარაკების წარმატება შესაძლებელია.

ძვირფასო ამხანაგებო, დარწმუნებული ვარ, საერთო აზრს გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი შეხვედრა ახალ იმპულსს მისცემს სსრ კავშირისა და უნგრეთის ყოველმხრივი ძმური ურთიერთობის შემდგომ განვითარება-გაღრმავებას. იგი დამაჯერებლად მოწმობს სოციალისტური ქვეყნების თანმიმდევრული და პრინციპული გზა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, სოციალიზმის ნათელი იდეალებისათვის ბრძოლაში.

გთავაზობთ სადღეგრძელოს: გაუმარჯოს ამხანაგ კადარს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს მშვიდობას ევროპასა და მთელ მსოფლიოში!

შემდეგ გამოვიდა ი. კადარი.

ამხანაგ ი. კადარის სიტყვა

კატივცემულო ამხანაგო ანდროპოვ!

ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო!

უნგრეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სახელით გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ ამხანაგ ანდროპოვის მოსალმების სიტყვებისათვის, საბჭოთა კავშირში მოწვევისათვის, გულთბილი მეგობრული მასპინძლობისათვის, მოსკოველ ბ ი ს. საბჭოთა ხალხის სტუმართმოყვარეობისათვის, ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენ, თქვენი სახით კი საბჭოთა კავშირის კომუნისტებს, მთელ საბჭოთა ხალხს ძმურად მივესალმები და გულწრფელად ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს უნგრელი კომუნისტების, უნგრელი ხალხის სახელით.

ძვირფასო ამხანაგებო!

მადლობას მოვახსენებთ ამხანაგ ანდროპოვს, ასე რომ აფასებს ჩვენი პარტიის პოლიტიკას, ჩვენი ხალხის მუშაობას. ჩვენი პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი შესაძლებლობას იძლევა გავაცნოთ ერთმანეთს ჩვენი ქვეყნების მდგომარეობა. გავუზიაროთ სოციალიზმის მშენებლობის დროს შეძენილი უახლესი გამოცდილება, განვიხილოთ ჩვენი მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები, გავუზიაროთ ერთმანეთს აზრი ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო საკითხებზე.

იმის შედეგად, რომ სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება გახდა მსოფლიო სისტემა, რომელიც რამდენიმე კონტინენტს მოიცავს, დღეს ყოველ სოციალისტურ ქვეყანას თავისი წვლილი შეაქვს სოციალისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის გამდიდრებაში. ამავე დროს ჩვენთვის, უნგრელი კომუნისტებისათვის, მუდამ ცხადი იყო იმ მდიდარი გამოცდილების განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ლენინის პარტიამ, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ შეიძინა სოციალიზმისათვის ბრძოლაში, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ჩვენი დელეგაცია ჩამოვიდა ქვეყანაში, სადაც სოციალიზმის იდეები პირველად განხორციელდა პრაქტიკულად, ვინც რა უნდა თქვას, ვერავინ ვერ შეცვლის იმ ისტორიულ ფაქტს, რომ მსოფლიოში პირველად კაპიტალიზმის უღელი საბჭოთა კავშირის ხალხებმა მოიშორეს. სწორედ აქ აშენდა პირველად თანასწორუფლებიანი ხალხების თავისუფალი საზოგადოება, სადაც არ არის ექსპლოატაცია და ეროვნული ჩაგვრა. მსოფლიო საზოგადოებრივმა აზრმა იცის და ახსოვს, რომ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ხალხებმა ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღეს, გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს ფაშიზმის განადგურებაში და ამით ხელი შეუწყვეს საზოგადოებრივი პროგრესის, დემოკრატიული განვითარების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ეროვნული დამოუკიდებლობის სამეფოს. საბჭოთა კავშირის განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად ჩვენმა სამშობლომაც— სხვა ქვეყნებთან ერთად — დაიბრუნა დამოუკიდებლობა და დაადგა დამოუკიდებელი სოციალისტური განვითარების გზას.

საბჭოთა კავშირის არსებობისა და განვითარების მეოხებით შეწყდა იმპერიალიზმის ერთმართველობა მსოფლიოში, დავიწყებას მიეცა ის დრო, როცა მხოლოდ იმპერიალიზმს შეეძლო გადაეწყვიტა ხალხებისა და ქვეყნების ბედი. თავისი შეკმნის მომენტიდან საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ იბრძვის მშვიდობისათვის, აძკამადაც მშვიდობის დაცვის მთავარი ბურჯია მთელ მსოფლიოში. ყოველივე ეს ისტორიული ფაქტებია, რომლებსაც ვერ შეცვლის ვერავითარი ანტიკომუნისტური, ანტისაბჭო ურ ი პროპაგანდა.

ჩვენი პარტიისათვის, უნგრელი ხალხისათვის კარგად არის ცნობილი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში მიღწეული გრანდიოზული შედეგები. ჩვენ გვახარებს თითოეული თქვენი წარმატება და მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ თავისი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი წარმატებით გადაწყვეტს სოციალიზმის მშენებლობის მორიგ ამოცანებს.

ამხანაგებო!

მომდინარე წლის აპრილში უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეამოწმა ბოლო ყრილობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობა და ჩამოაყალიბა აქტუალური ამოცანები. ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სახალხო ხელისუფლება მტკიცეა, პარტია საზოგადოების აღიარებული წამყვანი ძალაა.

უნგრელი მშრომელები ეთანხმებიან პარტიის პოლიტიკას და თავიანთი საქმეებით მხარს უჭერენ მას. ეს ვლინდება ცხოვრების ყველა დარგში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებაში, თითოეული დღის საქმეებსა და მიღწევებში. ჩვენი ხალხი მონოლითური ერთიანობით მიდის ყრილობის მიერ დასახული კურსით. ამას განსაკუთრებით, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს დღეებში, როცა ეკონომიკური განვითარების ინტენსიურ ეტაპზე გადასვლის ახალი მრავალმხრივი ამოცანების გადაწყვეტა გვიხდება საერთაშორისო დაძაბულობის მნიშვნელოვანი გაძლიერების ვითარებაში, არახელსაყრელ საგარეო-ეკონომიკურ პირობებში.

უპირველესი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის აუცილებელი პირობაა პარტიისა და ხალხის ერთიანობა, ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების სოციალისტური ნიშნების შემდგომი განმტკიცება. ჩვენ გვწამს ხალხის პოლიტიკური სიმწიფე, მისი შემოქმედებითი ძალები, მოქმედებისადმი მისწრაფება. ძალების უდიდესი გარეშე წყარო ჩვენთვის არის საბჭოთა კავშირთან, დანარჩენ სოციალისტურ ქვეყნებთან მრავალმხრივი თანამშრომლობა.

ამხანაგებო!

ჩვენს მოლაპარაკებაზე კმაყოფილებით აღვნიშნეთ, რომ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების სულისკვეთებით ჩვენი პოლიტიკური ურთიერთობა რეგულარული, შეუფერხებელი, ქმედითი ხასიათისაა, წარმატებით ვითარდება ეკონომიკური თანამშრომლობა, სულ უფრო ფართოვდება და ღრმავდება კონტაქტები იდეოლოგიის, მეცნიერების, კულტურისა და განათლების დარგში.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურთიერთობა ეფუძნება მარქსიზმ-ლენინიზმის, ინტერნაციონალიზმის პრინციპებს. ჩვენ საერთო ინტერესები და მიზნები გვაქვს, ჩვენი ურთიერთობა ვითარდება ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთპატივისცემისა და ნდობის, მეგობრობის ნიშნით.

სოციალიზმის მშენებლობის ძირითად საკითხებში ჩვენს პარტიებს შორის შეხედულებათა სრული ერთიანობაა. ჩვენი ქვეყნები განსხვავდება მასშტაბით, ბევრ რამეში ერთმანეთისაგან განსხვავდება ჩვენი პირობებიც, მაგრამ ერთი მიმართულებით მივდივართ. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ჩვენი ქვეყნების სხვადასხვა პირობებიდან ობიექტურად გამომდინარე მუშაობის სტილის გარკვეული განსხვავებანი ამდიდრებს სოციალისტური მშენებლობის ერთობლივ გამოცდილებას.

ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ ურთიერთობას. შარშან ჩვენი საგარეო ვაჭრობის ბრუნვა მიუახლოვდა 8 მილიარდ მანეთს, რაც ჯერჯეთის მთელი საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მესამედს შეადგენს. ამ თანხის 30 პროცენტზე მეტს შეადგენს სპეციალიზაციისა და კოოპერაციის ფარგლებში წარმოებული პროდუქციის წილი.

საბჭოთა კავშირში უნგრეთი იძენს წარმოებისათვის საჭირო ნედლეულისა და ტექნიკური მოწყობილობის მნიშვნელოვან ნაწილს. განსაკუთრებით დიდად ვფასობთ სპეციალიზაციისა და კოოპერაციის განვითარებას მთელ რიგ ისეთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამრეწველო დარგებში, როგორიც არის, მაგალითად, სატრანსპორტო საშუალებათა წარმოება, აგროქიმია, თხამიწისა და ალუმინის, ატომური ელექტროსადგურების მოწყობილობის წარმოება. სასიხარულოა, რომ ახლანდელი ვიზიტის დღეებში ხელი მოვაწერეთ ახალ მნიშვნელოვან შეთანხმებებს, რომლებიც კიდევ უფრო გააფართოებს ჩვენს ეკონომიკურ თანამშრომლობას.

ამხანაგებო!

მოლაპარაკება გვიჩვენებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებაშიც ემთხვევა ჩვენი პოზიციები ერთმანეთს. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ახალ მნიშვნელოვან ინიციატივებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება. მივესალმებით საბჭოთა წინადადებას ბირთვული იარაღის არსენალების გაყინვის თაობაზე და მაღალ შეფასებას ვაძლევთ საბჭოთა კავშირის მიერ ნაკისრი ცალმხრივ ვალდებულებას პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი.

ნახევარ წელზე მეტი გავიდა ჩვენი პოლიტიკურ-თავდაცვითი ორგანიზაციის — ვარშავის ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის პრაღის თათბირის გამართვის დროიდან. იქ მიღებული დეკლარაციის დებულებანი დღესაც აქტუალური და ნამდვილია, ეს დოკუმენტი მიგვაჩნია ჩვენი ერთობლივი საერთაშორისო საქმიანობის საფუძვლად. ჩვენი საერთო შეფასების თანახმად, ახლანდელი საერთაშორისო დაძაბულობის მიზეზი ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ექსტრემისტული წრეები, აძალიერებენ რა გამალებულ შეიარაღებას, ცდილობენ დაარღვიონ ისტორიულად ჩამოყალიბებული ძალთა წონასწორობა და მიაღწიონ სამხედრო უპირატესობას.

რამდენიმე კვირის წინათ, ევროპის შვიდი სოციალისტური ქვეყნის პარტიაზე და სახელმწიფო მოღვაწეთა მოსკოვის შეხვედრაზე ჩვენ კვლავ გამოვხატეთ საერთო მტკიცე გადაწყვეტილება — არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ, რომ იმპერიალისტებმა სამხედრო უპირატესობა მოიპოვონ. ძალთა წონასწორობის შენარჩუნება, ჩვენი აზრით, ემსახურება არა მარტო სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ინტერესებს, არამედ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის საარსებო ინტერესებსაც. ამავე დროს ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ჩვენი მიზანია მოლაპარაკების გზით მივაღწიოთ ისეთ შეთანხმებას, რომელიც შეიარაღების უფრო დაბალ დონეზე ყველა დაინტერესებული ქვეყნის თანაბარი უშიშროების გარანტიას იძლევა.

სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა დაინტერესებულია ბირთვული ომის საშიშროების შემცირებით, იმით, რომ არ იყოს გამალებული შეიარაღების ახალი ტური, რომ შემცირდეს სამხედრო კონფრონტაციის დონე. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ სადავო საერთაშორისო საკითხები მშვიდობიანი საშუალებებით წყდებოდეს. ყველა ფორუმზე უნდა ვიაუნებდეთ მოლაპარაკების ყველა შესაძლებლობას.

რთული ვითარების მიუხედავად, ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ არის მთავარი საშიშროების თავიდან აცილების შესაძლებლობანი. მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ამის აღნიშვნა არა მარტო სურვილი, არამედ რეალური მზანია, რომლის მიღწევა შეიძლება. მშვიდობის შენარჩუნების ძირითადი ფაქტორია სოციალისტური ქვეყნების ძლიერება და ორი მსოფლიო სისტემის ქვეყნებს შორის სამხედრო ძალების წონასწორობა. მშვიდობის დაცვას ხელს უწყობს ისიც, რომ მთელ მსოფლიოში იზრდება წინააღმდეგობა იმპერიალისტური ძალების ზარაზვებისადმი, მტკიცდება ხალხთა მისწრაფება მშვიდობისადმი.. თვით წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში სულ უფრო ფართო საზოგადოებრივი წრეები უერთდებიან ომის საწინააღმდეგო და ბირთვულსაწინააღმდეგო მოძრაობებს, რომლებიც ცდილობენ პოლიტიკურ ხელმძღვანელებს აიუძრნან პასუხისმგებლური, საღი ქცევისა და მოქმედების სურვილი.

მშვიდობის შენარჩუნებისა და გამალებული შეიარაღების ალაგმვის თვალსაზრისით დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ევროპის კონტინენტზე კი არ იზრდებოდეს, არამედ მცირდებოდეს ბირთვული შეტაკების საფრთხე. თითოეული ევროპელი ხალხის ინტერესებს შეესაბამება ის, რომ საფრთხე ჩვენი კონტინენტისადმი არ ძლიერდებოდეს, რომ არ განლაგდეს მოქმედების საშუალო რადიუსის ახალი ამერიკული რაკეტები, ჩვენ მხარს ვუჭერთ საბჭოთა წინადადებებს, რომელთა მიზანია მოქმედების საშუალო რადიუსის უკვე დისლოცირებული ბირთვული იარაღის რაოდენობის შემცირება. დაწმუნებული ვართ, რომ შეთანხმება შეიძლება დაიდოს, თუ მოლაპარაკებაზე მეორე მხარეც — ნატოს წარმომადგენლები — იხელმძღვანელებს პასუხისმგებლობის გრძნობით, იმ განზრახვით, რომ ხელი შეუწყოს მშვიდობისა და უშიშროების გლობალურ ინტერესებს.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ახლანდელ დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში განსაკუთრებით დროული და მნიშვნელოვანია, რომ სოციალისტური ქვეყნები შეთანხმებულად მოქმედებენ ჩვენი ხალხების უშიშროებისა და კაცობრიობისათვის მშვიდობის დასაცავად. შესძლებდა ადამიანად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა კვლავ ხელს შეუწყობს იმას, რომ მტკიცდებოდეს ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა ჭარშავის ხელშეკრულებისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში. ჩვენი დამოუკიდებლობის, უშიშროებისა და სოციალისტური აღმშენებლობისთვის მუშაობის მთავარი საერთაშორისო დასაყრდენია მეგობრობა საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის დანარჩენ ქვეყნებთან.

პატივცემულო ამხანაგო ანდროპოვ!

ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო!

ერთხელ კიდევ მადლობას მოგახსენებთ ჩვენი დელეგაციის მოწვევისთვის, მინდა გამოვთქვა ღრმა რწმენა, რომ ახლანდელი ჩვენი შეხვედრაც კარგ სამსახურს გაუწევს უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, ჩვენი ხალხების ინტერესებს, სოციალიზმისა და მშვიდობის საქმეს. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ჩვენს პარტიასა და მთავრობას თავიანთ უპირველეს ამოცანად მიაჩნიათ განვითარონ უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, განამტკიცონ ჩვენი კავშირი, გააფართოონ თანამშრომლობა.

სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, მოძმე საბჭოთა ხალხს, ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში, კეთილშობილურ საქმიანობაში მშვიდობის, საერთაშორისო უშიშროებისა და საზოგადოებრივი პროგრესის ინტერესებისათვის.

ვადღეგრძელებთ საბჭოთა ხალხსა და მის ლენინურ ავანგარდს — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!

ჯანმრთელობას ვუსურვებ ამხანაგ იური ივლიანოვიჩს ანდროპოვსა და ყველა დამსწრე საბჭოთა მეგობარს!

* * *

ამხანაგების ი. ვ. ანდროპოვისა და ი. კადარის სიტყვები დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

ხელმწიფო დამამზადებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და სპეციალისტებს, რომლებიც ძირითად საქმიანობასთან ერთად ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვას კონტრაქტაციის ხელშეკრულებებით, უდიდდებათ პრემია მატერიალური წახალისების ფონდებიდან სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის შესყიდვის გეგმის შესრულების პირობით.

ნებადართულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულებისათვის პრემირება წარმოებდეს წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შედეგების მიხედვით, ხოლო თამბაქოს, სალაფნე კულტურების, ჩაის ფოთლისა და სამკურნალწამლო კულტურების შესყიდვის გეგმის შესრულებისათვის — სეზონის მაძიებლე გაწეული მუშაობის შედეგების მიხედვით.

ერთი საწარმოს ან ორგანიზაციის მიერ რამდენიმე სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების განხორციელებისას გათვალისწინებულია შესყიდვის გეგმის შესრულება განისაზღვროს ღირებულებით, ამასთან, ერთ-ერთ ან ორ-ორ სახეობაზე, ტრაქტორებზე, ავტომობილებზე, სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და მოწყობილობებზე დამამზადებელი საწარმოები ან ორგანიზაციები ასრულებენ კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისათვის.

სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება მიეცათ სსრ კავშირის ხალბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და ცენტროსოიუზის მონაწილეობით შეიმუშაონ და 3 თვის ვადაში დამტკიცონ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟთან შეთანხმებით დებულება სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების წესის თაობაზე და ამ პროდუქციის კონტრაქტაციის ტიპობრივი ხელშეკრულებანი.

აღნიშნულ დებულებაში და კონტრაქტაციის ხელშეკრულებებში გათვალისწინონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მეურნეობების მიერ წარდგენილი მთელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღების და მისი დაცვა-შენახვისათვის დამამზადებელი ორგანიზაციების პასუხისმგებლობის, ხოლო სახელმწიფოსათვის მიყიდული პროდუქციის ხარისხისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პასუხისმგებლობის ამაღლება.

იმ შემთხვევაში, თუ კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან დამამზადებელი და მომსახურე საწარმოები და ორგანიზაციები არასწორად ეწევიან ანგარიშსწორებას გაყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და მათთვის შესრულებული სამუშაოებისათვის;

რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს მიეცათ უფლება დამამზადებელ და მომსახურე საწარმოებსა და ორგანიზაციებს დადგენილი წესით წარუდგინონ სარჩელი, რომ გადაახდევინონ მათ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების სასარგებლოდ (თუ ასეთი სარჩელები არ წარუდგენიათ ამ მეურნეობებს), მათთვის დაკლებული ან მათ მიერ მეტგადახადები თანხები...

დადგენილია, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების სასარგებლოდ აღნიშნული თანხების გადახდევინებისას დამამზადებელი და მომსახურე საწარმოები და ორგანიზაციები იხდიან აგრეთვე საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში ჯარიმას იმ თანხის 20 პროცენტის ოდენობით, რომელიც გადაახდევინეს.

იმ მიზნით, რომ ამაღლდეს სსრ კავშირის სახსოფლტექნიკის, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და „საკსოფლქიმიის“ გაერთიანების სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობა მუშაობათა შესრულების ხარისხისა და ვადებისათვის, გათვალისწინებულია პრაქტიკაში დაინერგოს სპ ხელშეკრულები ვალდებულებათა შესრულების შესახებ ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშში კოლმეურნეობების საერთო კრებებზე (რწმენებულთა კრებებზე), საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშათა და სპეციალისტთა კოლექტივების საწარმოო თათბირებზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაეკალა სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით განაზოგადოს სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გამოყენების 1984-1985 წლებში შეძენილი გამოცდილება და საჭიროების შემთხვევაში სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში შეიტან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საბჭო „საბჭოთა ოსეთის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მუშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახელმწიფო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად ავტონომიური ოლქის მრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლოვან დაკავშირებით გაზეთი „**საბჭოთა ოსეთი**“ დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი.

1983 წლის 18 ივლისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი საყოფერი მუშაობისათვის და გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთის რედაქციის ყველაზე თავგამოჩენილ მუშაკთა ჯგუფი დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

გაზეთის რედაქციისა და სამხრეთ ოსეთის პოლიგრაფიული გაერთიანების ბევრ მუშაკს მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის“ და „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდებანი.

ბრძანებულებები ქვეყნდება სამხრეთ ოსეთის საოლქო პრესაში. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მებრძოლი ორგანო გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ ამ დღეებში აღნიშნავს თავის 50 წლისთავს. ეს შესანიშნავი მოვლენაა რედაქციის ჟურნალისტების, მისი მუშა და სოფლის კორესპოდენტების, გაზეთის მრავალრიცხოვანი მკითხველების ცხოვრებაში.

გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების 13 წლისთავის ზეიმის დღეს — 1933 წლის 8 ივნისს. ეს კარგი საჩუქარი იყო ჩვენი ავტონომიური ოლქის მშრომელებისათვის, რომლებიც ძალ-ღონისა და ენერგიის დაუზოგავად იბრძოდნენ სოფლად საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრებისათვის, მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის, ეროვნული კულტურის განვითარებისათვის.

ქართული გაზეთი, ოსურ ენაზე გამომავალ გაზეთ „ხურზარინთან“ ერთად, თავიდანვე აქტიურად ჩაება საოლქო პარტორგანიზაციის ბრძოლაში ახალი ცხოვრების აშენებისათვის. და აი, უკვე ნახევარი საუკუნეა „საბჭოთა ოსეთი“ ერთგულად ემსახურება ამ საქმეს, რაზმავს მშრომელებს ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის, ზრდის მათ კომუნისტური სულისკვეთებით, უყალიბებს აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას.

პირველ ხანებში რედაქცია განიცდიდა კვალიფიციური კადრების ნაკლებობას. ძალზე სუსტი იყო პოლიგრაფიული ბაზა, ვიწრო იყო ავტორთა აქტივის წრე, მაგრამ, პარტიის საოლქო კომიტეტის დაუცხრომელი ზრუნვისა და ხელშეწყობის მეოხებით, მალე რედაქციის ცხოვრებაში საგრძნობი ცვლილებანი მოხდა უკეთესობისაკენ. უკვე 1939 წელს გაზეთის კოლექტივი გახდა საკმაოდ მოწოფული და ბრძოლისუნარიანი, მთლიანად დაკომპლექტდა ადგილობრივი კადრებით. უფრო ღრმა, საინტერესო გახდა გაზეთის შინაარსი და გაფორმება.

ახლა არ არის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ისეთი უბანი, ჩვენი გაზეთი თავის მტკიცე სიტყვას რომ არ ამბობდეს. გაზეთის გარშემო თავი მოიყარა კვალიფიციურ ავტორთა კოლექტივმა. მარტო ბოლო წლეულად-ნახევარში მუშაობა დაიწყო 50-ზე მეტმა ახალმა კორესპონდენტმა და ახლა მათი რიცხვი 470-ს აღწევს.

სსრ კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობა იყო და კვლავ არის გაზეთის ერთ-ერთი ძირითადი თემა. პროპაგანდას უწევს რა მარქსიზმ-ლენინიზმის დიდ იდეებს, გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მშრომელთა აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

ქართველი და ოსი ხალხების ისტორიული მეგობრობა, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა დიდ რუს ხალხთან, საბჭოთის სხვა მოძმე ხალხებთან ძმური თანამეგობრობის მეოხებით, გაზეთს აქტუალურ თემებს უკარნახებს. განსაკუთრებული აზრით, განსაკუთრებული შინაარსით არის აღსავსე გაზეთი ახლა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით. ხალხთა მეგობრობისა და ძმობის საკითხებს გაზეთი სისტემატურად უძღვნის მიზნობრივ გვერდებს, რეგულარულად აქვეყნებს მასალებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, საქართველოს სხვა რაიონების, აგრეთვე აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მშრომელებთან ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

რედაქციის ჟურნალისტები დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, რომ ქართველ მკითხველს გაეცნონ ოსური ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებები. გაზეთში აქტიურად თანამშრომლობენ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი და კრიტიკოსი ნაფი ჯუსოითი, მწერლები რევაზ ასავეი, გიორგი ძუგაევი, ნიკალა გაგლოევი, კოსტა მარგიევი, ჰაჯიმურათ ძუცათი და სხვები, აგრეთვე მეცნიერებათა დოქტორები ბაგრატ ტეხოვი, რუთენ კაბისოვი, ზინა გაგლოევა, ფურცელს „სიჰაბუცეს“, რომელიც ასახავს ოლქის კომკავშირული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის მჩქეფარე ცხოვრებას.

გაზეთის შემოქმედებითს ცხოვრებაში განსაკუთრებით ნაყოფიერია ბოლო ათწლეული — პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიღების შემდეგ გასული პერიოდი. „საბჭოთა ოსეთის“ ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრშია ბრძოლა სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სასურსათო პროგრამის რეალიზაციის, მომეცხრეობისა და ყაირათიანობის, შრომის, საწარმოო, ტექნოლოგიური და საშემსრულებლო დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცების საკითხები.

აღვნიშნავთ რა გაზეთის ნახევარი საუკუნის იუბილეს, ჩვენ ვაანალიზებთ მიღწეულებს, არ ვიწყებთ ნაკლოვანებებს, ზარუზებს მუშაობაში. ისინი კი ჯერ კიდევ ბევრია. გაზეთის ბევრი მასალა უფერულია, ზერელეა, საკმაოდ ღრმად არ ავლენს საკითხის არსს. ჩვენს ამოცანად მიგვაჩნია სრულყოფილ მუშაობა ავტორთა აქტივთან, ნიადაგ ვიზრუნოთ ჟურნალისტთა კადრების პროფესიული ოსტატობის ამაღლებისათვის, ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა მოითხოვა, გავიყოლიოთ, და დავარწმუნოთ მკითხველი ცხოვრების სიღრმეში წვდომით, დასკვნების საფუძვლიანობით, ცინცხალი აზრითა და სიტყვით, მარჯვედ გავუწიოთ პროპაგანდა ჩვენი სოციალისტური წყობილების უპირატესობებს, მკაფიოდ წარმოვაჩინოთ ახალი საზოგადოების მშენებლის ხასიათი და სახე.

ვ. მაისურაძე,
გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი. (საქინფორმი).

22 ივლისი — უსოფოული

ფაქტები მოვლენები საკლასო ბრძოლა იუწყება

თანამიმდევრული, პრინციპული პოზიცია

გამოხმაურება

საერთაშორისო საზოგადოებრიობა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ფართოდ განმარტავენ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მოლაპარაკებას, კრემლში გამართულ ხედვლზე ამხანაგების ი. ვ. ანდროპოვისა და ი. კადარის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს. კომენტარებში ხაზგასმულია, რომ სოციალისტური ქვეყნები ახორციელებენ თანამიმდევრულ და პრინციპულ ხაზს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში, რომ მათ მიერ წამოყენებული სამოქმედო პროგრამა მიზნად ისახავს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და ომის საფრთხის თავიდან აცილებას, პოლიტიკური და სამხედრო კონფრონტაციის იმპერიალისტური კურსის რეალური ალტერნატივაა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურთიერთობა, წერს უნგრეთის „**ნეფსაბადშაგი**“, ეფუძნება მარქსიზმ-ლენინიზმის, ინტერნაციონალიზმის უმკნობ პრინციპებს, ჩვენ საერთო ინტერესები და მიზნები გვაქვს. როგორც ზაზგასმით აღინიშნა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, სწორედ სოციალისტური ქვეყნები არიან მშვიდობის მთავარი ბურჯი. ისინი არიან მშვიდობიანი თანაარსებობის, ყველა სახელმწიფოს შორის თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის, ხალხთა უშიშროების განმტკიცების ლენინური იდეების მატარებლები, იღვწიან ქვეყნად ბირთვული მოსპობის მზარდი საფრთხისაგან ცივილიზაციის დაცვისათვის.

სოციალისტური ქვეყნების მიერ წამოყენებული ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება, წერს შემდეგ გაზეთი, თავიდან აგვაცილებდა ბირთვულ საფრთხეს, შესაძლებლობას მოგვცემს მტკიცედ გავაჯანსაღოთ საერთაშორისო ურთიერთობანი, აღმოფხვრათ მათში სახიფათო უნდობლობა და ეჭვიანობა.

ი. ვ. ანდროპოვმა, აღნიშნავს ჩეხოსლოვაკიის „**რუდე პრავო**“, განაცხადა, რომ ვაშინგტონში არსურთ პატიოსანი და სამართლიანი მორიგება, არ ფარავენ, რომ განზრახული აქვთ დაარღვიონ სამხედრო წონასწორობა, წინ გაიკრან სამხედრო დარგში და უზრუნველყონ თავიანთი გაბატონებული მდგომარეობა მსოფლიოში. ამასთან საბჭოთა პოზიცია ევროპაში სტრატეგიული იარაღისა და ბირთვული შეიარაღების შესახებ მოლაპარაკებაზე გამსჭვალულია მისწრაფებით მიაგნოს ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებას რეალობის თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების გათვალისწინების საფუძველზე.

მოსკოვს, განმარტავს „**ვაშინგტონ პოსტი**“ მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის შეთანხმება ბირთვული რაკეტების თაობაზე შესაძლებელია, თუ ვაშინგტონი ხელს აიღებს თავის ახლანდელ პოზიციაზე. საბჭოთა ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატები ან ნატო ბოლოსდაბოლოს ფხიზლად შეაფასებენ სიტუაციას, უარს იტყვიან მოლაპარაკებისადმი ცალმხრივ და უპერსპექტივო მიდგომაზე, რომელიც ეფუძნება მისწრაფებას მიაღწიოს საბჭოთა კავშირის ცალმხრივ განიარაღებას, მაშინ წარმატება მოლაპარაკებაზე შესაძლებელი.

საბჭოთა ხელმძღვანელმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ბოლო წინადადებებსა და ინიციატივებს, რომელთა მიზანია მშვიდობის შენარჩუნება, აღნიშნავს ინგლისის **რეიტერის** საგენტო. ამასთან მან ბრალად დასდო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის ნატოელ მოკავშირეებს, რომ ისინი ცდილობენ მიაღწიონ სსრ კავშირის ცალმხრივ განიარაღებას.

საბჭოთა ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, წერს კვიპროსის „**ხარავგი**“, რომ თუ მსოფლიოში დაძაბულობის ზრდა გრძელდება, ამის მიზეზი ერთი რამ არის — იმპერიალისტური წრეების, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი ნატოელი მოკავშირეების პოლიტიკა და მოქმედება. ი. ვ. ანდროპოვმა დასახა ერთადერთი სწორი გზა, რომელიც მოგვიტანს წარმატების განიარაღების შესახებ მოლაპარაკებაზე.

აღნიშნა რა, რომ ჯერ კიდევ შეიძლება თავიდან ავიცილოთ მსოფლიოს მთელი ვითარების არსებითი გართულება, აღნიშნავს იაპონიის „**მაინიჩი**“, მოსკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატები ხელს არ აიღებს მოლაპარაკებისადმი ცალმხრივ მიდგომაზე, რომელიც ეფუძნება სსრ კავშირის ცალმხრივ განიარაღებას, მაშინ წარმატება მოლაპარაკებაზე შესაძლებელი.

საბჭოთა ხელმძღვანელმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ბოლო წინადადებებსა და ინიციატივებს, რომელთა მიზანია მშვიდობის შენარჩუნება, აღნიშნავს ინგლისის **რეიტერის** საგენტო. ამასთან მან ბრალად დასდო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის ნატოელ მოკავშირეებს, რომ ისინი ცდილობენ მიაღწიონ სსრ კავშირის ცალმხრივ განიარაღებას.

საბჭოთა ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, წერს კვიპროსის „**ხარავგი**“, რომ თუ მსოფლიოში დაძაბულობის ზრდა გრძელდება, ამის მიზეზი ერთი რამ არის — იმპერიალისტური წრეების, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი ნატოელი მოკავშირეების პოლიტიკა და მოქმედება. ი. ვ.

კარიკატურისტის თვალით

ინილბება რა „მშვიდობისადმი სწრაფვის“ ფრაზებით, ვაშინგტონის ადმინისტრაცია დაინებით ახორციელებს თავის ავანტიურისტულ საგარეო პოლიტიკას. (გაზეთებიდან).

ამერიკის საგარეო პოლიტიკის „ფასადი და „შიგთავსი“.

ნახ. ბულგარულ გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოდან“.

მადრიდის შეხვედრაზე

მიაღწიეს შეთანხმებას

მადრიდი. მადრიდის შეხვედრის აქ გამართულ სხდომაზე მიაღწიეს შეთანხმებას, რომ შეხვედრის საბოლოო სტადია, რომელშიც მოსალოდნელია საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობა, გაიმართოს ამა წლის 7-9 სექტემბერს.

იმასთან დაკავშირებით, რომ მალტა კვლავ ამბოკლებს საბოლოო დოკუმენტის გამო კონსენსუსის მიღწევას, პლენარული სხდომის თავმჯდომარემ, უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა ი. ვარგამ მოუწოდა, რომ მადრიდის შეხვედრის რაც შეიძლება სწრაფად და წარმატებით დამთავრების საერთო ინტერესი უფრო მაღლა დააყენონ, ვიდრე სიძნელენი, რომელსაც ერთი დელეგაცია ქმნის.

● პოლონეთი

სეიმის სხდომა

ვარშავა. აქ გაიმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის სხდომა. როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, სეიმმა მიიღო კანონი კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

პოლონეთის პრესის სააგენტოს ცნობის თანახმად, სეიმმა დაამტკიცა ადგილი კანონპროექტი „სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პერიოდში განსაკუთრებული სამართლებრივი მოწესრიგებისა და ქვეყნის ზოგიერთი კანონის შეცვლის შესახებ“.

შემდეგ სეიმის სხდომაზე გამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ჰ. იაბლონსკი. მან განაცხადა, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 22 ივლისიდან პოლონეთის მთელ ტერიტორიაზე სამხედრო წესების გაუქმების შესახებ.

სხდომაზე გამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. იარუზელსკი.

პარტიის მებრძოლი თანაშემწე

ავდრის მიუხედავად

ივლისის მეორე დეკადის დამლევს კოკისპირულმა წვიმებმა სერიოზული ზარალი მიაყენა დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონების სახალხო მეურნეობას. 20 ივლისს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ო. ბ. ვარძელაშვილის მეთაურობით ეწვია ამ რაიონებს, გაეცნო იქ შექმნილ მდგომარეობას.

...„იაკ-40“ მარკის თვითმფრინავიდან, რომელიც დაბლა მიფრინავდა, უჩვეულოდ გამოიყურებოდა დასავლეთ საქართველოს დაბლობები და მთისწინეთი. ჩვეულებრივი მწვანე ფერის ნაცვლად ჭარბობდა ღვარცოფების ნაკადების მოყვითალო-მოყავისფრო ლაქები. კარგად მოჩანს ჩაწოლილი სიმინდის ღერები, წაქცეული ხეების მასივები პატარა ნაკადულების კალაპოტებში, რომლებმაც უკანასკნელ დღეებში უფრო მეტი წყალი გაატარეს, ვიდრე თვის განმავლობაში...

ქუთაისის აეროპორტში გადავსვლიდით მი-8 ვერტმფრინავში. საჰაერო ყველგანმავალმა ტყიბულისაკენ აიღო გეზი, მანქანიდან ვხედავთ, როგორ ნელა მიცურავს ჩვენ ქვევით გუმბათესისა და ვარციხეჯვრის ბეტონის უზარმაზარი კაშხალები. თუმცა წყალმოვარდნამ იკლო, მაგრამ წყალსადენების ფოლადის საფარები ახდილია. ეს „ბასაგებიცაა — ტენის მასის „გადაგდებისათვის“ არა ერთი ადგილია საჭირო.

19 ივლისს რაიონის ხეობას თავს დაატყდა კოკისპირული წვიმა. ჰაერის ტენიანობამ ერთიანუთად გადააჭარბა ნორმას, წყლის დონე მდინარეებში სამი-ოთხი მეტრით აიწია, ადიდებულმა წყალმა დატბორა ვარციხის ჰიდროსადგურის სამანქანო დარბაზი, ოფურჩხეთის ჩაის ფაბრიკის მუშათა დაბა. დაევშვით ტყიბულში.

— კოკისპირულმა წვიმებმა ქალაქის ზონის 400 ჰექტარზე დაანგრია ნათესები, რაც მთელი სათესი ფართობის მეოთხედს შეადგენს, — თქვა პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გიორგი ლორთქიფანიძემ, — ქალაქში დაზიანებულია კომუნალური ობიექტები, წყლის ნაკადი შეიჭრა სამრეწველო საწარმოებში. ქალაქ ტყიბულის ზონაში წყალმა წაიღო ხიდები, დაზიანდა 70 კილომეტრამდე საავტომობილო გზა. ახლა ყველგან მიმდინარეობს აღსადგენი სამუშაოები, ქალაქისა და მისი სოფლის ზონის მოსახლეობა აქტიურად მუშაობს დანგრეულის აღდგენისათვის. ვფიქრობთ, ძირითადად, საქმეს თავს გავართმევთ საკუთარი ძალებით.

საკუთარი ძალებით გაართვან საქმეს თქვი, — ასეთია კოკისპირული წვიმებისაგან დაზარალებული ყველა რაიონის მშრომელთა განწყობილება. მთელ აღსადგენ სამუშაოებს სათავეში უდგანან კომუნისტები, ისინი ყველაზე ძნელ უბნებზე მუშაობენ.

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რაიონის მოსახლეობა ძლიერ დაზარალდა კოკისპირული წვიმებისაგან, დარღვეულია კომუნიკაციები, წულუკიძელები საბრძოლო გუნება-განწყობილებაზე არიან, — თქვა პარტიის წულუკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა ვახტანგ კვარაცხელიამ. იგი ჩვენთან ერთად ჯდება ვერტმფრინავში, რომ კიდევ ერთხელ — უკვე ჰაერიდან — განსაზღვროს უამინდობით მიყენებული ზარალის მასშტაბი. — რაიონში შექმნილია სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციო სპეციალური შტაბი, მუშაობის ყველა გადამწყვეტ უბანზე ადამიანებს სათავეში უდგანან კომუნისტები. ახლა მთავარი ამოცანაა მინიმუმამდე შევამციროთ სოფლის მეურნეობისათვის კოკისპირული წვიმებით მიყენებული ზარალი. ბევრ ადგილას მიმდინარეობს კულტურების ხელახალი თესვა, ვიყენებთ ჩვენს განკარგულებაში არსებულ მთელ ტექნიკას.

დაზიანებულია 300 ჰექტარი სიმინდის ნათესები, ვენახების მნიშვნელოვანი ფართობი, რამდენიმე ხიდი, წყალი შეიჭრა მდინარე აბაშის ჰიდროელექტროსადგურის სამანქანო დარბაზში. ეს ინფორმაცია, რომელიც მივიღეთ პარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველი მდივნის ირაკლი მოწერელიასაგან, მიუხედავად ყველაფრისა, არ იწვევს პესიმიზმს: ადამიანები დანგრეულს აღადგენენ, სულიერად არ ეცემიან.

როცა ადამიანებს თავს ატყდებათ უბედურება, ისინი უფრო მჭიდროდ ერთიანდებიან, მხარდამხარ დგებიან, რათა ერთად გაუწიონ წინააღმდეგობა მას. იმ დროს, როცა პაპანაქება სიცხისაგან შეწუხებულმა თბილისელებმა სავაჭრო ორგანიზაციებში მარტო ერთ კვირაში გაასაღეს ორი ათასამდე კონდიციონერი, წინათ გაუსაკლიან საქონლად რომ ითვლებოდა, დასავლეთ საქართველოში ხალხი ებრძოდა კოკისპირულ წვიმებსა და ქარს, ვერტმფრინავთა მფრინავები აღარც თავს ზოგავდნენ და აღარც მინდობილ ძვირადღირებულ ტექნიკას, და საშინელი გრიგალისა და ციდან მოვარდნილი ნიაღვრის სრულიად წარმოუდგენელ პირობებში ახერხებდნენ თავიანთი მძიმე მანქანებში აეყვანათ წყლის მორევში გაჩენილ პატარ-პატარა კუნძულებზე უმწეოდ დარჩენილი ადამიანები. ქუთაისში, ცხაკაიაში, წულუკიძეში და სხვა ადგილებში სრულიად უცნობი ადამიანები სტუმართმოყვარულად უღებდნენ კარს და უმასპინძლდებოდნენ წყალდიდობისაგან დაზარალებულთ და მათთან ერთად იბრძოდნენ სტიქიის წინააღმდეგ.

ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირთან მდინარე ტეხურაზე გადებული მრავალმალიანი ბეტონის ხიდი ფრონტულ ფოტოსურათებს წააგავდა: თითქოს სასტიკად დაებომბოთ, ისე დანგრეული და გადაგრეხილია რკინაბეტონის ფილები, ბურჯებს შორის ბობოქრობს წყლის ნაკადი. მდინარის ქვედა დინებაზე ვხედავთ თითქმის კილომეტრი მანძილიდან წაღებულ დამტვრეულ ბუღლოზერებს, სკრეპერებს. — დიახ, ჩვენ სერიოზული ზარალი განვიცადეთ, — თქვა სოფელ ნოსირის მცხოვრებმა მერაბ ქვარაიამ. — ბევრს დაუზიანდა ბინები, საკარმიდამო ნაკვეთები. მაგრამ ჩვენ სასოწარკვეთას არ ვეძლევით, ხომ ყველასათვის ცნობილია, რომ სახელმწიფო დაგვეხმარება. უკვე ახლა ჩემი თანასოფლელები შეიკავთიანი პირობებით იღებენ საშენ მასალებს, აწესრიგებენ ავდრისაგან დანგრეულ მეურნეობას.

ჩვენს მი-8-ს გეზი უჭირავს ჩრდილოეთისაკენ. აქ სტიქიამ მთელი თავისი ძალა გამოიჩინა. ლენტეხის მთის რაიონში გადარეცხილია მრავალი კილომეტრი ავტოგზები. წაღებულია ხიდები, შეწყვეტა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, მათ შორის — საკვების დამზადება. მაგრამ აქაც ცხოვრება ნელ-ნელა ნორმალურ კალაპოტში დგება — ცალკეულ სოფლებში, რომლებშიც კავშირი გაწყვეტილი იყო, ახლა საკმარისი რაოდენობით აწვდიან სურსათს, პირველი საჭიროების საქონელს, აღადგენენ სატელეფონო ხაზებს, მისასვლელ გზებს.

წარმატებით გაუძღო წყალმოვარდნას ენგურის ჰიდროელექტროსადგურის კაშხალმა. სადგურის ექსპლოატაცია, სამშენებლო სამუშაოები იქ არც ერთი წუთით არ შეწყვეტილა, თუმცა ავდარი განსაკუთრებით ბობოქრობდა. მან დატბორა ღორღის წარმოება, დაანგრია რამდენიმე ხიდი და ტექნოლოგიური კომუნიკაციების მნიშვნელოვანი ნაწილი. 150 მეტრი სიმაღლიდან ჩანს სადგურის წყალსაცავის კრიალა ზედაპირი. ჯერ კიდევ ორი დღის წინათ იგი ჩახერგილი იყო მდინარის მიერ მოტანილი ხეებით. ახლაც, სათავისაკენ, მოჩანს ხეობის გარშემო მდებარე მთებზე ფართო ნაპრალები: კოკისპირულ წვიმასა და გრიგალს მათი კალთებიდან თითქოს მოუცილავს და მდინარეში ჩაუნერგავს ათასობით ხე.

— ჩვენში წყალმა წაიღო რამდენიმე სახლი, დაზარალდა ტურისტული ობიექტები, — თქვა პარტიის მესტიის რაიკომის პირველმა მდივანმა სოსო კარტოზიამ. — მაგრამ ახლა ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება, დანგრეულს წარმატებით აღადგენთ საკუთარი ძალებით.

— ქალაქისა და რაიონისათვის ავდრით მიყენებული სერიოზული ზარალის მიუხედავად, — თქვა პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ანდრო ზოდელავამ, — დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი კვირის მანძილზე ცხოვრება მთლიანად ჩადგება ნორმალურ კალაპოტში.

ხალხმა სტიქია დაამარცხა. აი მთავარი დასკვნა, რომელიც გამოიტანეს დასავლეთ საქართველოს რაიონებში მოგზაურობის მონაწილეებმა. ხალხი მადლიერია რესპუბლიკის მიერ გაწეული დახმარებისათვის და ამავე დროს მტკიცედ სწამს, რომ ძირითად აღსადგენ სამუშაოს თვითონვე შეასრულებს.

ა. შარშენოვი,
საქინფორმის სპეც. კორ.

ეკონომიკური ინფორმაცია

მეტი საკვები ფერმებს!

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საკვების დამზადება 1983 წლის 18 ივლისისათვის (ტონობით)

	სულ უხეში საკვები			მათ შორის						თივის ფქვნილი		
				თივა			სენაჟი					
	დაგეგმილი	შესრულება	+ — 1982 წელთან შედარებით	დაგეგმილი	შესრულება	+ — 1982 წელთან შედარებით	დაგეგმილი	შესრულება	+ — 1982 წელთან შედარებით	დაგეგმილი	შესრულება	+ — 1982 წელთან შედარებით
სულ												
საქართველოს სსრ	1.500.000	525.134	—33.704	670.000	72.304	—5.005	500.000	416.030	—13.130	29.000	6.335	—1.002
მათ შორის:												
აფხაზეთის ასსრ	56.330	26.283	+ 4.238	26.950	8.181	+2.020	12.880	18.031	+ 2.147	660	55	— 75
აჭარის ასსრ	30.330	2.919	— 451	21.400	1.161	+ 77	6.530	1.758	— 528	390	30	— 93
სამხრეთ ოსეთის ao	81.500	22.651	+ 1.533	40.000	1.658	+ 21	28.300	19.585	+ 839	490	50	+ 13
რაიონები:												
აბაშის	24.000	6.393	+ 2.558	5.200	2.413	+1.428	10.000	3.980	+ 1.130	780	161	+ 84
ადიგენის	17.950	3.597	— 140	6.950	90	— 147	10.000	3.507	+ 7	—	—	—
ახალციხის	13.000	889	+ 140	10.500	889	+ 140	700	—	—	—	—	—
ახალქალაქის	11.200	2.353	+ 819	6.500	206	+ 42	3.000	2.147	+ 777	—	—	—
ასპინძის	81.000	18.312	+ 6.592	46.000	128	+ 128	19.000	18.184	+ 6.464	—	—	—
ახალქალაქის	25.600	9.922	— 2.658	10.600	205	— 404	10.000	9.717	— 2.254	—	—	—
ახალციხის	26.450	14.439	— 3.019	4.850	1.123	— 78	15.000	11.556	— 2.860	200	—	—
ბაღდათის	91.300	4.450	+ 1.942	56.000	—	—	25.300	4.450	+ 1.942	—	—	—
ბოგდანოვკის	22.750	10.412	— 9.417	9.250	258	—1.140	8.600	9.789	— 7.850	—	—	—
ბოლნისის	25.800	824	— 703	18.500	3	— 37	7.100	821	— 666	—	—	—
ბორჩალოს	4.600	859	— 674	1.200	269	+ 200	1.400	590	— 839	—	—	—
ვანის	68.400	33.625	— 7.531	30.000	11.003	—5.597	28.000	21.385	+ 49	750	483	+ 35
გარდაბნის	13.200	4.570	+ 370	4.000	610	+ 10	3.700	3.960	+ 360	660	114	+ 49
მცხეთის	35.100	21.186	— 1.416	8.000	3.513	+ 171	18.600	17.325	— 1.749	200	1	— 27
გორის	42.500	24.182	— 7.776	8.000	1.004	— 890	29.000	21.471	— 5.685	1.310	625	+ 162
ყვარელის	48.500	8.734	— 5.351	29.000	—	— 85	16.000	8.734	— 5.266	—	—	—
დუშეთის	28.800	6.043	— 1.052	23.000	1.280	— 335	2.600	4.763	— 717	—	—	—
თიანეთის	6.400	3.117	— 637	2.000	821	— 171	1.500	1.849	— 892	—	—	—
ზესტაფონის	19.960	9.253	+ 1.366	5.000	950	+ 248	9.160	8.303	+ 1.118	260	106	+ 21
ზუგდიდის	13.000	3.600	— 100	13.000	2.300	+1.300	—	—	—	—	—	—
ონის	24.500	12.037	— 36	7.000	3.103	+ 386	8.600	8.233	— 752	—	—	—
ქარელის	19.900	6.916	— 2.991	5.900	815	— 225	8.400	6.073	— 2.674	—	—	—
კასპის	11.400	9.379	+ 665	3.600	541	+ 428	5.000	6.688	+ 181	—	—	—
ყაზარლის	20.400	18.595	+ 2.413	2.900	589	— 179	10.000	12.935	+ 2.713	750	135	— 55
ლაგოდეხის	14.700	—	— 150	5.200	—	—	3.500	—	— 150	450	—	—

ფეგობროების ეკრანი

ᲛᲝᲜᲢᲔᲙᲐᲠᲚᲝ დამთავრდა XIII საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც მსოფლიო ჰუმანური კინოხელოვნების დიდ დათვალიერებად იქცა. ფესტივალის სამივე კონკურსის ავტორიტეტულმა ჟიურიმ დამთავრებადი თავისი გადაწყვეტილება. აი, ვინ არიან ფესტივალის ლაურეატები.

ᲡᲠᲣᲚᲛᲔᲢᲠᲐᲟᲘᲐᲜᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ კონკურსის ჟიურიმ ოქროს პრიზები მიანიჭა ფილმებს: „ამოკი" (რეჟისორი სუჰეილ ბენ ბარკა, მაროკო), „ალსინო და კონდორი" (რეჟისორი მიგელ �ტანდი, ნიკარაგუა — კუბის, მექსიკისა და. კოსტა-რიკის მონაწილეობით), „ვასა" (რეჟისორი გლებ პანფილოვი, სსრ კავშირი).

მსოფლიო კინოხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის ჟიურიმ სპეციალური პრიზებით აღნიშნა მსახიობები და კინორეჟისორები ალბერტო სორდი (იტალია) და რობერ ოსეინი (საფრანგეთი).

ვერცხლის პრიზი მიენიჭა სამ ფილმს: ბულგარელთა „წონასწორობას" (რეჟისორი ლ. კირკოვა), დასავლეთგერმანულ „დოქტორ ფაუსტუსს (რეჟისორი ფ. ზაიტცი) და ჩეხოსლოვაკურ ფილმს „ასფალტზე ცხენებს აძოვებდა" (რეჟისორი შ. უგარი). ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ჯილდოები დაიმსახურეს მსახიობებმა ჯუდი დევისმა („ჩვენი იმედების ზამთარი", ავსტრალია) და ჯენიკა ლანგმა („ფრენსისი", დიდი ბრიტანეთი); მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლად აღიარეს მსახიობები ვირგილიუშ გრიმი („გმირული პასტორალი", პოლონეთი) და ესიკატო („სამშობლო", იაპონია).

ჟიურის პრიზი მიენიჭა ფილმს, „მიწის ჩრდილი" (რეჟისორი ტაიეტ ლუხონი, ტუნისი). ჟიურიმ საპატიო დიპლომები გადასცა ფილმებს „გარიგება" (რეჟისორი ფერნანდო აიალა, არგენტინა), „ერთი ხელის ხუთი თითი" (რეჟისორები ი. ნიამგავა და ბ. ბალეანიმი, მონღოლეთი), „ჯოჯოხეთიდან დაბრუნება" (რეჟისორი ნ. ბერეინიანუ, რუმინეთი).

ᲛᲝᲙᲚᲔᲛᲔᲢᲠᲐᲟᲘᲐᲜᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ კონკურსის ჟიურიმ ოქროს პრიზებით დაჯილდოვა ფილმები: „წერილი მორასანიდან" (სალვადორი, ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტი) და „ბეირუთს თავს უცხო ღრუბელი დასტრიალებს" (სცენარის ავტორი და რეჟისორი ფადელ მუთლაკი, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა —სსრ კავშირის მონაწილეობით).

ვერცხლის პრიზებით აღინიშნა ფილმები: „მზე ამოვა" (ავტორთა კოლექტივი, აფრიკელთა ეროვნული კონგრესი), „კამილო" (კუბა) და „კანტო გენერალი საყოველთაო სიმღერაა" (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲙᲘᲜᲝᲛᲐᲢᲝ�გᲠᲐᲤᲘᲨᲘ ომის საწინააღმდეგო თემის თანამიმდევრული ასახვისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში დიდი პირადი წვლილისათვის ჟიურის სპეციალური პრიზი მიენიჭა ამერიკელ რეჟისორ ჯოან ჰარეის. საპატიო დიპლომები დაიმსახურეს მულტიფილმმა „კიდევ ერთხელ"... (ნიდერლანდი), მხატვრულმა ფილმმა „სიღრიბის მოწმობა" (სენეგალი) და დოკუმენტურმა ფილმმა „ცამეტი" (ჩეხოსლოვაკია).

ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ კონკურსის ჟიურიმ ოქროს პრიზი მიანიჭა ფილმს „მამაკაცური აღზრდა" (რეჟისორები უ. საფაროვი, ი. სეიდოვი, სსრ კავშირი).

ვერცხლის პრიზებით დაჯილდოდა ფილმები: „შეუჩერებლად მივდივართ", (რეჟისორი ს. ზოტრა, იუგოსლავია), „თავდაყირა" (რეჟისორი ს. ენდრიკე, პოლონეთი), „გუტაფფისის ტარზანი" (რეჟისორი სერენ კრაგ იაკობსენი, დანია).

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲣᲚᲢᲘᲞᲚᲘᲙᲐᲪᲘᲣᲠᲘ ფილმებისათვის ჟიურის სპეციალური პრიზი მიენიჭა ფილმს „ირმის ექვანი" (რეჟისორები ტან ჩენი და ვუ ციანი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა).

ᲓᲦᲘᲡ ᲩᲔᲡᲠᲘᲒᲨᲘᲐ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ მოჭადრაკეთა ჯგუფური ტურნირები. მესამე ჯგუფში მოსპარეზე საქართველოს ნაკრებმა სომხეთის კოლექტივთან გადადებული პარტიები ასე დაასრულა: უბილავამ დაამარცხა ანსტასიანი, ჩიბურდანიძემ კულიკოვასთან ყაიმით დამთავრა პარტია, ხოლო გიორგაძეს ვაჭანიანთან შეხვედრის დათმობა მოუუდა. ამრიგად, საბოლოო ანგარიშია 5:3 საქართველოს მოჭადრაკეთა სასარგებლოდ. ბელორუსებმა დამამარცხეს ესტონელები — 4,5:3,5, რუსეთის ფედერაციის მოჭადრაკეებმა მოუგეს ბელორუსებს — 5:3. შერჩევითს ჯგუფში მეხუთე ტურის მატჩების წინ რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა 15 ქულა მოაგროვა. ბელორუსებმაც ამდენივე, მაგრამ ქვეჯგუფში მათ შეჯიბრება უკვე დამთავრებული ჰქონდათ. მომდევნო ადგილებზე იყვნენ საქართველოს (13,5 ქულა), სომხეთის (13) და ესტონეთის (7,5) გუნდები. თუ ვინ მოიპოვებდა ამ ქვეჯგუფიდან საუკეთესო ექვსეულში თამაშის ორ ვაკანტურ საგზურს, უნდა გაერკვია მეხუთე ტურის მატჩებს. ამჯერად საქართველოს მოჭადრაკეები ხვდებოდნენ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს, ხოლო სომხეთის ნაკრების მეტოქე იყო ესტონეთის გუნდი. საქართველოს მოჭადრაკეებმა რვაგე პარტია გადადეს, ხოლო სომხეთის გუნდი დაწინაურდა ანგარიშით 5:1 (2 პარტია გადაიდო). გადადებული პარტიების დასრულების წინ სომხეთის ნაკრებს 18 ქულა და ორი გადადებული პარტია ჰქონდა, რუსეთის ფედერაციის ნაკრებს —15 (8), ბელორუსიისას — 14. საქართველოს კოლექტივმა 13,5 ქულა დააგროვა (8), ესტონეთისას — 8,5 (2). გადადებული პარტიები გუშინ გათამაშდა.

კიდევ ერთი დიდი სიხარული მოგვანიჭეს **ᲯᲘᲣᲓᲝᲛᲝᲡᲢᲔᲑᲘᲡ.** ამჯერად ორ ოქროს მედალს დაეუფლა **თამაზ ნამგალაური,** მან 71 კგ წონის კატეგორიაში, როგორც სასპარტაკიადო, ისე საკავშირო პირველობა მოიგო. მან სასპარტაკიადო ტურნირში ვ. სვეროტოვსკი (ლატვია) მახრჩობელა ილეთით დაამარცხა, ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონს, მოსკოველ უ. მარიკეი დიდი უპირატესობით მოუგო, შემდეგ კი უკრაინის სახელით მოსასპარეზე თანამემამულე ლევან ნაკანი მტკივნეული ილეთით დაამარცხა. ფინალში თამაზ ნამგალაურის მეტოქე გახლდათ მ. ფარჩიეკი. სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონთან და უცხოეთის სარბიელებზე ხსვადასხვა რაგბის ზეჯიბრებებში არაერთგზის გამარჯვებულთან ორთაბრძოლა ერთობ ძნელი გამოდგა. თავდაპირველად, სულ რაღაც ორ წუთში, ფარჩიეკმა ორი შედეგიანი ილეთი შეასრულა და დაწინაურდა. ამის შემდეგ იგი ყრუ დაცვაზე გადავიდა. სამგზეროდ, შესამჩნევად გაკმეტიურდა ნამგალაური. ამასობაში ფარჩიეკმა პასიურობისათვის ორჯერ მიიღო გაფრთხილება, შეხვედრის მიწურულს კი ნამგალაურმა შედეგიანი გდებით საბოლოო გამარჯვება მოიპოვა. საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებული ორთაბრძოლები ქართველ ფალავნებს მოუწია ლენინგრადელ გ. კუზნეცოვთან, ისევ ლ. ნაკანთან და ლატვის წარმომადგენელ ა. პონომარევთან. პირველს ნამგალაურმა წმინდად მოუგო, მეორეს — მნიშვნელოვანი უპირატესობით, მესამეს —კვლავ წმინდად. ჩვენი ძიუდოისტთა ნაკრები გუნდურ ჩათვლაში ჯერჯერობით პირველ ადგილზეა.

დამთავრდა სასპარტაკიადო შეჯიბრება **მხატვრულ ტანვარჯიშში.** ამ ასპარეზობაზე მოსკოველთა გუნდები დაიპყრო ირინე გაბაშვილმა. მართალია, მას ამჯერად ოქროს მედალი არ მოუპოვებია, მაგრამ ეს არბიტრების სინდისზე დავაგდოთ. მთავარია, რომ იგი კვლავ უძლიერესთა შორის ჩადგა და ახლო მომავალში მისი პოტენციური შესაძლებლობები კიდევ უფრო უნდა გამობრწყინდეს. შეჯიბრების ბოლო დღეს, როცა სპორტსმენები ცალკეულ სახეობებში პირადი პირველობისათვის იბრძოდნენ, გაბაშვილს სამ ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება ჰქონდა მოპოვებული. მან განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ბურთიით ვარჯიშში. მისთვის რომ აღრე ქულები არ დაეკლოთ ამ სახეობაში უთუოდ მედალს დაეუფლებოდა. ამჯერად დანაკარგის ანაზღაურება მხოლოდ ათქულიანი (მისი წინასწარი შედეგი 9,7 ქულით გამოიხატებოდა) შეფასებით თუ შეიძლებოდა, მაგრამ ამის გაკეთება პრაქტიკულად ძალიან ძნელი გახლდათ. გაბაშვილმა საკმაოდ მაღალი შეფასება (9,85 ქულა) მიიღო, ორი გამოსვლის ჯამით 19,55 ქულა დააგროვა და ვერცხლის მედალს დაეუფლა. იგი ამ შედეგით სსრ კავშირის ჩემპიონატზეც მეორე ადგილზე აღმოჩნდა. მას დ. კუტკაიტემ (ლიტვა) გაუსწრო — 19,7 (9,8+9,9). მესამე ადგილზე გამოვიდა ვ. ზარიპოვა (უზბეკეთი), რომელსაც გაბაშვილთან პრინციპულ ბრძოლაში 19,45 ქულა აღმოაჩნდა (9,7+9,75). რგოლით ვარჯიშში სხვა ორ მეტოქესთან ერთად გაბაშვილმა მეოთხე ადგილი დაიკავა, გურზებით მოასპარეზეთა შორის — მეხუთე და ამ სახეობებშიც საქართველოს ნაკრებს ჩასათვლელი ქულები შესძინა. სასპარტაკიადო შეჯიბრების მრავალჯიდში (ოთხი ვარჯიში) ირინე გაბაშვილი 65 მონაწილეს შორის მეხუთე გახლდათ — 38,95 ქულა (აქ უძლიერესი იყო დ. კუტკაიტე — 39,45). საკავშირო ჩემპიონატის მრავალჯიდში (ხუთი ვარჯიში) 53 მონაწილე იყო და მათ შორის მოსკოველ ტ. ტიტოვასთან ერთად გაბაშვილმა მეექვსე-მეშვიდე ადგილები გაიყო —47,75—47,75 ქულა. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა მეხუთე ადგილი დაიკავა.

ახლა კი **თავისუფალი სტილით მოჭიდაკეთა** შესახებ ვისაუბროთ. გუშინ გვიან ღამით ამ სახეობაშიც დამთავრდა შეჯიბრება. ამჯერად ათიდან, ექვს წონითს კატეგორიაში დამთავრებულ სასპარეზობათა შედეგებზე მოგითხრობთ. სპარტაკიადის ჩემპიონთა წოდებები მოიპოვეს ს. კორნილაევმა (მოსკოვი, 48 კგ), რ. ნოვრუზოვმა (აზერბაიჯანი, 52 კგ), ვ. ალექსეევმა (რსფსრ, 62 კგ), ა. პაოლმარიოვმა (უკრაინა, 74 კგ), პ. ნანიევმა (ლენინგრადი, 90 კგ), და ა. ხაჯარაევმა (უზბეკეთი, 100 კგ). ამ წონითს კატეგორიებში საქართველოს მოჭიდავეთა შედეგები ასეთია: ზ. წოწორიამ მეცხრე ადგილი დაიკავა (48 კგ). თავი ისახელა სპარტაკიადის მონაწილეე ყველაზე ახალგაზრდა, 17 წლის ეგია მუსიაანმა (52 კგ). მან ფინალამდე მთელი ტურნირი დაუმარცხებლად განვლო, რაც მთავარია, ლამაზად, თავდადებით, შეუპოვრად იბრძოლა და ვერცხლის მედალს დაეუფლა. აღსანიშნავია, რომ ექვსი წონითი კატეგორიიდან საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთაგან მედლის მოპოვება მხოლოდ მან შეძლო. ფინალში მუსიაანის მეტოქე იყო აზერბაიჯანელი რ. ნოვრუზოვი. სოხუმელი სპორტსმენი დაწინაურდა, ერთი ქულით სჯობდა მეტოქეს (3:2) მაგრამ ბოლო წამებში აზერბაიჯანელმა გაათანაბრა ანგარიში და, ვინაიდან ამ უკანასკნელმა ბოლო ქულა აიღო, მასვე მიენიჭა ჩემპიონობა. ვ. კოტორაშვილმა (74 კგ) მეექვსე ადგილი დაიკავა, მ. რაზმაძემ (90 კგ) —მეოთხე, გ. ყურაშვილმა და ო. ხუტაბამ (ორივე 100 კგ) შესაბამისად—მეხუთე და მეექვსე ადგილები. აღნიშნულმა სპორტსმენებმა საქართველოს ნაკრებს ჩასათვლელი ქულები შესძინეს.

ახლა დანარჩენ წონითს კატეგორიებში მოსასპარეზეთა შესახებაც. 57 კგ წონითს კატეგორიაში ჩვენგან არავინ გამოდის. დ. გიგაურმა (68 კგ) და გ. მაკასარაშვილმა (82 კგ) უკვე ოთხ-ოთხი ბრძოლა გამართეს. პირველმაც და მეორემაც სამ-სამი შეხვედრა მოიგო და თითო წააგო. გ. მაკასარაშვილმა დასასრულ დამარცხება განიცადა ვ. მოდოსიანთან (რსფსრ, იგი ჩვენს რესპუბლიკაში აღიზარდა) საქმე ის არის, რომ მსაჯებმა არაობიექტურად განაგეს ყოველივე. საქართველოს ნაკრებს ხელმძღვანელობამ გააპროტესტა ეს შედეგი. სამივე მსაჯი შეჯიბრებიდან მოხსნეს, მაგრამ მათი არაობიექტური გადწყვეტილება ძალაში დარჩა. საუცხოოდ იბრძოდა ჯ. ტარიელაძე (ზემძიმე წონა). პირველ წრეში ლენინგრადელი ი. მაზეპასთან გამარჯვების შემდეგ, მან საყოველთაოდ ცნობილი ს. ანდიევი (რსფსრ) დაამარცხა, მესამე წრეში ასევე ერთობ ძლიერი ბ. ბიგაევი (უკრაინა), და ბოლოს, უზბეკეთის წარმომადგენელი ა. ხაიმოვიჩი. ტარიელაძე ოქროს მედლისათვის ბრძოლას გაგაგრძობდა. 57, 68, 82 კგ და ზემძიმე წონითს კატეგორიაში პრიზიორები გუშინ გამოვლინდნენ.

ჯ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ,
„კომუნისტის" სპეც. კორ.
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.

Ი. ᲜᲐᲡᲧᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გარდაიცვალა ქარელის რაიონის ბრეთის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, პარტიის ქარელის რაიკომის ბიუროს წევრი, რაიონული საბჭოს დეპუტატი, 1972 წლიდან სკკპ წევრი ილია გიორგის ძე **ნასყიდაშვილი.**

ი. ნასყიდაშვილი დაიბადა 1937 წელს ქარელის რაიონის სოფელ რუისში. არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შრომითს საქმიანობას შუიდგა ჭიათურის საშენებლო კანტორაში. 1956 წელს მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა და მუშაობა დაიწყო ბრეთის საბჭოთა მეურნეობაში რიგით მეხილედ. 1976 წელს აირჩიეს ამავე მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარედ. 1978 წლიდან კი მეურნეობის საწარმოო ბრიგადას ხელმძღვანელობდა.

ი. ნასყიდაშვილის სახელთან, პირად წვლილთან დიდად არის დაკავშირებული მეურნეობის წარმატებები სხვადასხვა წლებში: სამჯერ ზედიზედ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში მონაწილეობა, გამოფენის პირველი ხარისხის დიპლომი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ერფურტში გამართულ კონკურსში მოპოვებული ბრონზაოს დიდი მედალი, ხოლო აგროგანყოფილებას, სადაც იგი მუშაობდა კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელი მიენიჭა.

1966 წელს სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სხვა მოწინავეებთან ერთად ი. ნასყიდაშვილი შრომის წიფელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა, 1971 წელს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა და ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი" გადაეცა.

ი. ნასყიდაშვილი წლების განმავლობაში იყო პარტიის რაიონული კომიტეტის, მისი ბიუროს წევრი და აქტიურად მონაწილეობდა რაიონის წინაშე დასახულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტაში. რამდენჯერმე იყო არჩეული რაიონული საბჭოს დეპუტატად და პირნათლად ასრულებდა ხალხის რჩეულის საპატიო მოვალეობას.

სოფლის მეურნეობის აღიარებული მუშაკის, თავმდაბალი მოქალაქის, ერთგული მეგობრისა და ამხანაგის ხსოვნა დიდხანს დარჩება მათში ვინც მას პირადად და საქმიანობით იცნობდა.

საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომი, სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი.

რედაქტორის მოადგილე
ბ. ᲜᲐᲒᲬᲔᲑᲘᲐ.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲛᲐᲚᲔᲝᲜᲘᲜᲒᲐ. ახალგაზრდა ქართველმა სპორტსმენმა გ. ბენიძემ ვილნიუსში გამართულ „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე 1966-1967 წლებში დამადებულ გოგონათა და ვაჟთა შორის 5 ათასი მეტრი 15 წუთისა და 54,6 წამში გაირბინა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. გუშინწინ გაიმართა უმაღლესი გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეორე ტურის შვიდი მატჩი. ჩვენი რესპუბლიკის გუნდებმა კვლავ სტუმრად ითამაშეს. თბილისის „დინამო" ისევ დამარცხდა — ამჯერად „დნეპრთან" 1:2, ქუთაისის „ტორპედომ" კი „ყალგირისთან" შეხვედრაში ქულა შეიმატა — 1:1. სხვა მატჩები ასე დამთავრდა: მოსკოვის „ტორპედო"-„მეტალისტი"—3:2, მინსკის „დინამო"-„არარატი" — 2:0, „ნისტრუ"-„ზენიტი" —0:1, „შახტიორი"-„ნეფთჩი" — 2:0, „ჩერნომორეცი"-„ფახთაქორი" — 0:1. გუშინ გაიმართა ამ ტურის კიდევ ერთი მატჩი — ცსკა-კიევის „დინამო" — 4:1.

ᲙᲝᲛ.ᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66434 უე 07664

საქართველოს კპ ცკ-ის გაზეთსაბეჭდავლობის ეროვნული ნოთელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორეუსი, სოფაარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 25 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — სპორტული ინფორმაცია (მ.). 10.00 — „მოამბე". 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაშვილები თეთრი კუნძულიდან". 11.00 — მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა". მხატვრული ფილმი „გამარჯობათ ბავშვებო!". 12.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ედუარდ ტისე". 17.05 — „ჩვენს დიად სამშობლოში". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „უსური-ტაიგის მდინარე". 17.25 — „ცვლა" მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო: (ოლიმპიადა ქართულ ენასა და ლიტერატურაში). 17.55 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.25 — განცხადებები. 18.30 — „მეცნიერების სამყაროში" — „ადამიანი და გარემო". 18.45 — „ვერნისაჟი". 19.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვირიმული ჩანახატები". 19.15 — „სახალხო კონტროლის ეკრანი. 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — „სოფლის სადღეისო საზრუნავი". 20.35 — „საერთაშორისო დღიური". 21.05 — გადაცემა „ალიო მირცხულავა-90". 21.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მზიური მხარის პალიტრა". 21.55 — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის — „ძმობის სტრიქონები". 22.00 — „ვრემია" 22.35 — „ხვალ — ტელეეკრანზე". 22.40 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" — V სერია. 23.55 — ახალი ამბები. 00.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბურმუშ სარის ცისარტყელა". 00.20 — სპორტული ინფორმაცია (მ.).

მეორე პროგრამა. 17.05 — ახალგაზრდობისათვის „სტუდენტთა შემოქმედება" (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. განმეორებით). 18.10 — აბიტურიენტთათვის — ქიმია.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 26 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — სპორტული ინფორმაცია (მ.). 10.00 — „მოამბე". 10.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „...და მზის სხივი". 11.00 — მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა". მხატვრული ფილმი „მომძებნე, ლეონია!". 12.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ცვლა". 13.30 — ქართული ენის ტელეკურსი. 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოსტატთა ქალაქი". მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო: 17.25 — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის — „ლეტერატურული ექსკურსია". 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.35 — „შუქი სულისა" — გივი შავგულიძე. 18.55 — განცხადებები. 19.00 — „საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე" (მიმოხილვა). 19.20 — „საბჭოური ცხოვრების წესი" გადაცემა „მამამ რომ შეიღი გაზარდოს". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — „სოფლის სადღეისო საზრუნავი". 20.35 — „თეატრი და ცხოვრება". 21.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეგობრობა". 21.55 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი". 22.00 — „ვრემია". 22.35 — საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადაზე ძალოსნობა (მ.). 23.00 — საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ნაკრება გუნდები (გადაცემა გდრ-დან) შესვენების დროს 23.45 — ახალი ამბები. 00.45 — სპორტული ინფორმაცია (მ.).

მეორე პროგრამა. 17.05 — „ხალხური სიმღერის მოამაგენი. „მიხა ჯიღაური" (განმეორებით). 17.50 — მხატვრული ფილმი „მე უკვე დიდი ვარ".

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 27 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — სპორტული ინფორმაცია (მ.). 10.00 — „მოამბე". 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბიჭუნები ზღვაზე ოენეობენენ". 11.00 — მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა". მხატვრული ფილმი „მელოდეი კუნძულებზე!. 12.20 — „ახალი გრამფირფიტები". 12.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მდინარე პეჩორასთან". 13.05— ბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 13.35 — „საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადაზე — კლასიკური ჭიდაობა (მ.). მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო: 17.05 — „წყაროსთვალი" სატელევიზიო ჟურნალი. 17.50— მულტიპლიკაციური ფილმი „როგორ ეძებდა მელია განძს". 18.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქის პორტრეტი". 18.20—„ოქროპირი"—სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი (განმეორებით). 19.00 —რსდმპ II ყრილობის 80 წლისთავისათვის გადაცემა „არის ასეთი პარტია". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — „სოფლის სადღეისო საზრუნავი". 20.35 — მულტფილმები. 20.45 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა. 21.55 — „საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე". 22.00 — „ვრემია". 22.45 — რსდმპ II ყრილობის 80 წლისთავი—„კომუნისტებო წინ" (მ.). 23.55 — ახალი ამბები. 00.10 — სპორტული ინფორმაცია (მ.).

მეორე პროგრამა. 17.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „ულადიატორი". 17.20 — მხატვრული ფილმი — „მეცთან წამოყვანე". 18.40 — რეკლამა.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 30 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.50 — სპორტული ინფორმაცია (მ.). 10.05 — „მოამბე". 10.35 — მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა". მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბავშვები" და მულტიპლიკაციური ფილმი „ხელმარჯვე ოსტატი წყალქვეშ". 11.15 — დოკუმენტური ფილმების პროგრამა: „სასურსათო პროგრამა მოქმედებაში". „ტოსენსკის შემოდგომა" (ლენნაუწფილმი), „ახალი ხიხანი" (საქართველოს ტელევიზიის სტუდია), „მებალურები და ნაპპორიდან" (ტალინი) და „ბეკა (მ.). 12.15 — „პოეზიის ხუთი წუთი". 12.20 — „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ VII ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲡᲐᲠᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲠᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲠᲗᲐᲕᲘᲡ